სისხლის სამართლის სტატისტიკის

ერთიანი ანგარიში

საანგარიშო პერიოდი - 2016 წლის ნოემბერი

შინაარსი

თავი II.	**პროკურატურის სტატისტიკა**	3
ნაწილი 4	სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები	3
4.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით	3
4.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	4
4.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით	17
4.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	18
ნაწილი 5	დაზარალებული პირები	21
5.1	დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით	21
5.2	დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	23
ნაწილი 6	არასრულწლოვნები	28
6.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ	28
6.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	29
6.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ	31
6.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	31
6.5	დაზარალებული არასრულწლოვნები	31
თავი III.	**სასამართლო სტატისტიკა**	34
ნაწილი 7	სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები	34
7.1	აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები	34
ნაწილი 8	პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები	36
8.1	პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა	36
8.2	არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები	37
8.3	საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები	38
ნაწილი 9	მსჯავრდებულები	38
9.1	მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით	38
9.2	მსჯავრდებულთა შემადგენლობა	39
9.3	არასრულწლოვანი მსჯავრდებულები	42
ნაწილი 10	დანაშაული და შეფარდებული სასჯელები	44
10.1	დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით	44
10.2	დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით	49
თავი IV.	**საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკა**	52

ნაწილი 11	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტი	52
11.1	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები	52
11.2	არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	58
11.3	საპატიმრო ადგილების ლიმიტები	59
11.4	მსჯავრდებულები დანშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	60
11.5	მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით	62
11.6	უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები	63
11.7	პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა	66
11.8	პენიტენციური სისტემიდან გასვლა	67
11.9	პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლება	68
11.10	რესოციალიზაციის მიმდინარეობა	68
11.11	სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება	72
11.12	დისციპლინური სახდელები	74
11.13	წახალისების ფორმები	75
11.14	პაემნის ღონისძიებები	77
11.15	წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	78
11.16	დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები	80
11.17	შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება	81
11.18	ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება	82
11.19	პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები	82
11.20	ავადობა პენიტენციურ სისტემაში	84
11.21	გარდაცვალება	91
ნაწილი 12	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო	91
12.1	პირობით მსჯავრდებულები	91
12.2	პირობით მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	93
12.3	არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	94
12.4	უცხოელი პირობით მსჯავრდებულები	95
12.5	პირობით მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით	96
12.6	პირობით მსჯავრდებულთა მატება	97
12.7	დასრულებული საქმეები	99
12.8	პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლეობის მოხსნა	102
12.9	პირობით მსჯავრდებულთა შეწყალება	103
12.10	პირობით მსჯავრდებულთა ამნისტია	103
12.11	საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე	104
12.12	პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია	105
12.13	პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება	107
12.14	თავისუფლების შეზღუდვა	108

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა

ნაწილი 4. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები

4.1. დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით

2016 წლის ნოემბრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულ იქნა 1370 პირის მიმართ. აქედან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დანაშაული ჩადენილ იქნა 280 პირის მიერ, რაც დევნადაწყებული პირების 20,4%-ს შეადგენს (ცხრილი 3).

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):

დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დევნის დაწყების მაჩვენებელში)



როგორც მონაცემებიდან ჩანს, დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში ფიქსირდება, ხოლო დაბალი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

4.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2016 წლის ნოემბრის თვეში დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 5):

<u>**დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):**</u>



<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა (სსკ-ის მუხლები: 127-136):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 1 პირის მიმართ განსაცდელში მიტოვების დანაშაულზე (სსკ-ის 128-ე მუხლი).

<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207[1]):</u>



<u>დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213):</u>



<u>დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში (სსკ მუხლები 214- 219):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 6 პირის მიმართ საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის დანაშაულზე (სსკ-ის 214-ე მუხლი).

<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 220-221):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 1 პირის მიმართ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დანაშაულზე (სსკ-ის 220-ე მუხლი).

<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>



<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი დაფიქსირდა 3 პირის მიმართ სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა).

ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):

<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>



<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 5 პირის მიმართ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის დანაშაულზე (სსკ-ის 284-ე მუხლი).

<u>დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 287-306):</u>



<u>ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა (სსკ მუხლები 322^1-322^2):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 2 პირის მიმართ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევის დანაშაულზე (სსკ-ის 322^1 მუხლი).

ტერორიზმი (სსკ მუხლები 323-331[1]):

დევნა დაწყებულ იქნა 9 პირის მიმართ სსკ-ის 323-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ტერორისტული აქტი).

სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342[1]):

დევნის დაწყების მაჩვენებელი სამოხელეო დანაშაულებზე
(2016 წლის ნოემბერი)



დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):

დევნის დაწყების მაჩვენებელი მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის ნოემბერი)



<u>დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 364-367[1]):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 1 პირის მიმართ სასამართლოს უპატივცემულობის დანაშაულზე (სსკ-ის 366-ე მუხლი).

<u>დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის ნოემბერი)



<u>დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება (სსკ მუხლები 374-376):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის ნოემბერი)



<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):</u>



<u>დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 382-396):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 1 პირის მიმართ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვების დანაშაულზე (სსკ-ის 388-ე მუხლი).

4.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით

2016 წლის ნოემბრის თვეში დევნა შეწყდა 37 პირის მიმართ. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 3; ცხრილი 4):

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დევნის შეწყვეტაში)



დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია თბილისში (29,7%).

4.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2016 წლის ნოემბრის თვეში დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 6):

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის ნოემბერი)



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან).

<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>

დევნა შეწყვეტილ იქნა 1 პირის მიმართ ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევის დანაშაულზე (სსკ-ის 160-ე მუხლი).

<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207[1]):</u>

დევნა შეწყდა 8 პირის მიმართ სსკ-ის 205[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ქონების გადამალვა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით).

<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების დანაშაულზე (სსკ-ის 236-ე მუხლი).

<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>

დევნა შეწყდა 2 პირის მიმართ სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა).

<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>



<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე (სსკ-ის 276-ე მუხლი).

<u>სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342[1]):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (სამსახურებრივი გულგრილობა).

<u>**დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):**</u>

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის ნოემბერი)

ნაწილი 5. დაზარალებული პირები

5.1. დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით

2016 წლის ნოემბერში სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 1 072. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაზარალებული პირები ასე გადანაწილდა (ცხრილი 7):

დაზარალებული პირები ასაკობრივ ჭრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობაში)



დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 5):

დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში
(2016 წლის ნოემბერი)



2016 წლის ნოემბრის თვეში დაზარალებული პირების უმეტესობა საქართველოს მოქალაქეა (ცხრილი 5):

დაზარალებული პირები მოქალაქეობის მიხედვით
(2016 წლის ნოემბერი)



5.2. დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2016 წლის ნოემბერი დაზარალებული პირები სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 8):

<u>დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):</u>

დაზარალებული პირები სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის ნოემბერი)



<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>

დაზარალებული პირები ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის ნოემბერი)



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>

დაზარალებული პირები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე
(2016 წლის ნოემბერი)



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189¹):</u>



<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>



<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა).

<u>დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):</u>

დაზარალდა 1 პირი ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის დანაშაულზე (სსკ-ის 259-ე მუხლი).

სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):



კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):



დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):



<u>დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 364-367[1]):</u>

დაზარალებულ იქნა 4 პირი სსკ-ის 366-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (სასამართლოს უპატივცემულობა).

<u>დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):</u>

დაზარალებულ იქნა 4 პირი ცრუ დასმენის დანაშაულზე (სსკ-ის 373-ე მუხლი).

<u>დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება (სსკ მუხლები 374-376):</u>

დაზარალებულ იქნა 1 პირი სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (დანაშაულის დაფარვა).

<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381[2]):</u>

დაზარალდა 9 პირი სსკ-ის 378-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია).

<u>დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 382-396):</u>

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 387-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფა).

ნაწილი 6. არასრულწლოვნები

6.1 დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2016 წლის ნოემბრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულ იქნა 22 არასრულწლოვნის მიმართ. აქედან 22,7% (5 პირი) მოდის პირებზე, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (ცხრილი 3).

არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):



6.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2016 წლის ნოემბრის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი კონკრეტული დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 5):

<u>**დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):**</u>

დევნა დაწყებულ იქნა 2 არასრულწლოვანი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის დანაშაულზე (სსკ-ის 109-ე მუხლი).

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 1 არასრულწლოვანი პირის მიმართ 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების დანაშაულზე (სსკ-ის 238[1] მუხლი).

<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>

დევნა დაწყებულ იქნა 2 პირის მიმართ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების დანაშაულზე (სსკ-ის 260-ე მუხლი).

6.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2016 წლის ნოემბრის თვეში დევნა შეწყდა 1 არასრულწლოვნის მიმართ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (ცხრილი 3, ცხრილი 4).

6.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2016 წლის ნოემბრის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ამგვარია:

<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>

დევნა შეწყდა 1 არასრულწლოვანი პირის მიმართ სსკ-ის 265-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება).

6.5. დაზარალებული არასრულწლოვნები

2016 წლის ნოემბრის თვეში სულ დაზარალდა 73 არასრულწლოვანი. დაზარალებული არასრულწლოვნები დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 8):

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>

დაზარალებული არასრულწლოვნები ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის ნოემბერი)



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>

დაზარალებული არასრულწლოვნები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის ნოემბერი)



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>

დაზარალდა 1 არასრულწლოვანი მუქარის დანაშაულზე (სსკ-ის 151-ე მუხლი).

<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>

დაზარალებული არასრულწლოვნები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2016 წლის ნოემბერი)



<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დაზარალდა 15 არასრულწლოვანი ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე (სსკ-ის 276-ე მუხლი).

თავი III. სასამართლო სტატისტიკა

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები

2016 წლის ნოემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია საგამოძიებო ორგანოებიდან აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებაზე შემოსული 1190 შუამდგომლობა. განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების ხვედრითი წილი შეადგენს 34,0%-ს, გირაოს ხვედრითი წილი - 64,5%-ს, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების ხვედრითი წილი - 1,3%-ს (იხ. დანართი ცხრილი №9).

განხილული შუამდგომლობები



სულ განხილული შუამდგომლობიდან სასამართლოს მიერ *დაკმაყოფილებულ იქნა* 650 შუამდგომლობა, ანუ 54,6%. მათ შორის: დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 64,2%, გირაოს შეფარდებაზე დაკმაყოფილებულ იქნა 49,0%.

დატოვებულია განუხილველად საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული 343 შუამდგომლობა, ანუ 28,8%.

საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობებიდან *უარი ეთქვა* მოცემული შუამდგომლობის შეფარდებაზე და შეეფარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება, ან უარი ეთქვა შეფარდებაზე 197 შუამდგომლობას, ანუ 16,6%-ს;

შუამდგომლობების განხილვის შედეგები



2016 წლის ნოემბერში სულ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებებიდან დაპატიმრებაზე მოდის 31,7% (260), გირაოზე - 60,6% (497), გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებაზე - 6,6% (54).

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები



2016 წლის ნოემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 820 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 260, ანუ 31,7%, ხოლო არასაპატიმრო - 560, ანუ 68,3%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 88,8%.

ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა

2016 წლის ნოემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილულია 1149 საქმე 1256 პირის მიმართ, აქედან განაჩენის გამოტანით განხილულია 1102 საქმე, ანუ 95,9%, შეწყდა 20 საქმე (1,7%), დაუბრუნდა პროკურატურას 27 საქმე, ანუ 2,3% (იხ. დანართი ცხრილი №10).

2016 წლის ნოემბერში განაჩენის გამოტანით განხილული საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით განხილული იყო 702 საქმე (სულ განხილული საქმეების 63,7%) 759 პირის მიმართ (სულ განხილული პირების 63,1%), არსებითი განხილვით დამთავრდა 400 საქმე (შესაბამისად 36,3%) 443 პირის მიმართ (36,9%).

პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითად და საპროცესო შეთანხმებით

განხილული საქმეების ხვედრითი წილი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში



8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები

2016 წლის ნოემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული 400 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 376 საქმეზე, გამამართლებელი განაჩენი - 15 საქმეზე, ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი 9 საქმეზე (იხ. დანართი ცხრილი №11).

2016 წლის ნოემბერში სულ არსებითი განხილვით მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი 466 პირიდან გამართლებულ პირთა ხვედრითი წილი შეადგენს 5,2%-ს, ნაწილობრივ გამართლებული პირების ხვედრითი წილი - 2,1%-ს, ხოლო იმ პირების ხვედრითი წილი, რომელთა მიმართ საქმე შეწყდა შეადგენს 4,9%-ს (იხ. დანართი ცხრილი №12).

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები

2016 წლის ნოემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ არსებითი განხილვის გარეშე შემოსული იყო 414 სისხლის სამართლის საქმე 440 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით განაჩენი გამოტანილ იქნა 702 საქმეზე 759 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილ განაჩენებში არსებითი განხილვით შემოსული საქმეების ხვედრითი წილი შეადგენს 42,6% (იხ. დანართი ცხრილი №13).

ნაწილი 9 - მსჯავრდებულები

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით

2016 წლის ნოემბერში სულ მსჯავრდებული 1167 პირიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 285 პირს, ანუ 24,4%-ს;

- პირობითი მსჯავრი შეეფარდა 490 პირს, ანუ 42,0%-ს;

- ჯარიმა შეეფარდა 263 პირს, ანუ 22,5%-ს;

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 121 პირის, ანუ 10,4%.

მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით



9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა

2016 წლის ნოემბერში სულ მსჯავრდებული 1167 პირიდან მამაკაცი შეადგენდა 95,1%-ს, ხოლო ქალი 4,9%-ს.

ალკოჰოლურ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენდა 1,3%-ს, ნარკოტიკულ სიმთვრალეში კი 3,4%-ს; ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 4,3%-ს. სოფლად ჩადენილი დანაშაული შეადგენს 19,6%-ს. სულ მსჯავრდებული პირებიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იყო 3,8% (იხ. დანართი ცხრილი №14).

ასაკის მიხედვით მსჯავრდებულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 14-17 წლის ასაკის მსჯავრდებულია 10 პირი, რაც შეადგენს 0,9%-ს,

-18-24 წლის ასაკის - 202 პირი, ანუ 17,3%,

- 25-29 წლის ასაკის - 226 პირი, ანუ 19,4%,

- 30-49 წლის ასაკის - 590 პირი, ანუ 50,6%;

- 50 წლის ზევით ასაკის - 139 პირი, ანუ 11,9%.

მსჯავრდებულთა განაწილება ასაკის მიხედვით



მსჯავრდებულთა შორის არასრული საშუალო განათლების მქონეა 43 პირი, ანუ 3,7%, საშუალო განათლების მქონეა 949 პირი, ანუ 81,3%, უმაღლესი განათლების მქონეა 171 პირი, ანუ 14,7%.

მსჯავრდებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



1167 მსჯავრდებული პირიდან:

- უმუშევარია 1074, ანუ 92,0%

- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის მოსამსახურეა 35, ანუ 3,0%

- სხვა მომუშავეა 32, ანუ 2,7%

- კერძო მეწარმეა 14, ანუ 1,2%

- მოსწავლე ან სტუდენტია 4 ანუ 0,2%

- საჯარო მოსამსახურეა 3, ანუ 0,3% და სხვა.

მსჯავრდებულთა გადანაწილება საქმიანობის მიხედვით

(პროცენტობით)



მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონეა მსჯავრდებულთა 12,3%.

9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2016 წლის ნოემბერში მსჯავრდებული იყო 10 არასრულწლოვანი, რაც შეადგენს ნოემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ მსჯავრდებული პირების 0,9%-ს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიდან ვაჟი იყო 10, ანუ 100,0%. არ მუშაობდა და არ სწავლობდა 9 არასრულწლოვანი, ანუ სულ მსჯავრდებული არასრულწლოვნების 90,0% (იხ. დანართი ცხრილი №15).

2016 წლის ნოემბერში სულ მსჯავრდებული 10 არასრულწლოვანიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 4 პირს, ანუ 40,0%, პირობითი მსჯავრი შეეფარდა 4 პირს, ანუ 40,0%-ს, ჯარიმა - ერთ პირს, ანუ 10,0%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - ერთ პირს, ანუ 10,0%-ს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელების მიხედვით



მსჯავრდებული 10 არასრულწლოვანი პირი დანაშაულის სახეების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- ქურდობისათვის მსჯავრი დაედო 4 პირს, ანუ 40,0%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 2 პირს, ანუ 50,0%-ს;

- ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრი დაედო 2 პირს, ანუ 20,0%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1 პირს, ანუ 50,0%-ს;

- ყაჩაღობისათვის მსჯავრი დაედო 1 პირს, ანუ 10,0%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა არც ერთ პირს ;

- განზრახ მკვლელობისათვის მსჯავრი დაედო 1 პირს, ანუ 10,0%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა არც ერთ პირს და სხვა (იხ. დანართი ცხრილები №16,17).

რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა 5 არასრულწლოვანი, ანუ 50,0%;

- აჭარის, ქვემო ქართლის, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა იქნა თითო-თითო არასრულწლოვანი, ანუ 10,0% (იხ. დანართი ცხრილი №18).

ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით

2016 წლის ნოემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 1102 საქმე 1202 პირის მიმართ. მსჯავრდებული 1167 (24 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, 11 პირის მიმართ გამოტანილია განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად) პირის მიერ ჩადენილი იყო 1273 დანაშაული, ხოლო დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნულ იქნა 1350 სასჯელი (იხ. დანართი ცხრილი №19).

2016 წლის ნოემბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული შეადგენს 6,0%-ს, მძიმე დანაშაული - 27,4%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაული 66,6%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული 1350 სასჯელიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი შეადგენს 5,9%-ს, მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 29,2%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 64,9%-ს.

მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშულებისა და ჩადენილი დანაშაულებისათვის

დანიშნული სასჯელების სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით (პროცენტობით)



განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 68,8%-ს, პირობითი მსჯავრის - 26,3%-ს, ჯარიმის 5,0%-ს.

მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 50,3%-ს, პირობითი მსჯავრის - 39,6%-ს, ჯარიმის - 8,4%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 0,5%-ს.

ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 14,0%-ს, პირობითი მსჯავრის - 38,5%-ს, ჯარიმის - 32,3%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 15,0%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების

სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით (პროცენტობით)



2016 წლის ნოემბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილია 181 ძალადობრივი დანაშაული, რაც სულ ჩადენილ დანაშაულში შეადგენს 14,2%-ს, აღნიშნული დანაშაულებისათვის დანიშნულია 200 სასჯელი, ანუ 14,8%. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ძალადობრივი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 31,0%-ს, პირობითი მსჯავრის 6,5%-ს, ჯარიმის - 33,0%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 20,5%-ს.

ძალადობრივი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელები



ნოემბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან კორუფციული დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 2,3%-ს, დანიშნული სასჯელების ხვედრითი წილი - 2,2%-ს (იხ. დანართი ცხრილი №20).

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის: საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 29,3% (373), ნარკოტიკულ დანაშაულზე - 27,0% (3447), ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულზე - 16,1% (205), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ დანაშაულზე - 4,9 (63), მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულზე - 3,5% (54) და სხვა.

მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტრუქტურა (პროცენტობით)



2016 წლის ნოემბერში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული 1350 სასჯელიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 27,9%-ს (376);

- პირობითი მსჯავრი 38,1%-ს (514);

- ჯარიმა 23,7%-ს (320);

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 9,9%-ს (133).

დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების სტრუქტურა



10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

2016 წლის ნოემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის შეფარდებული სასჯელებიდან 557, ანუ 41,3% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, იმერეთის სასამართლოებზე - 157, ანუ 11,6%, აჭარის სასამართლოებზე -143, ანუ 10,6%, შიდა ქართლის სასამართლოებზე - 87, ანუ 6,4%, კახეთის სასამართლოებზე - 82, ანუ 6,1%, ქვემო ქართლის სასამართლოებზე - 108, ანუ 8,0%, სამეგრელოს სასამართლოებზე - 118, ანუ 8,7% და სხვა (იხ. დანართი ცხრილი №21).

ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების განაწილება რეგიონების მიხედვით



ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების

სტრუქტურა რეგიონალურ ჭრილში (პროცენტობით)



თითოეული დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელის ღონისძიებებში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: აჭარაზე - 29,4%, თბილისზე - 33,9%, სამეგრელოზე - 30,8%, მცხეთა თიანეთი - 29,7%, კახეთზე - 28,0%, სამცხე-ჯავახეთზე - 32,4% და ა.შ.

პირობითი მსჯავრის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: გურიაზე - 37,5%, მცხეთაზე - 43,2%, იმერეთზე - 34,4%, შიდა ქართლზე - 55,2%, ქვემო ქართლზე - 39,8%, სამეგრელოზე - 33,9%, კახეთზე - 42,7%, სამცხე-ჯავახეთზე - 37,8%, თბილისზე - 38,4% და ა.შ.

ჯარიმის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: რაჭა - 62,5%, აჭარა- 36,4%, იმერეთი - 29,9%, ქვემო ქართლი -20,4%, მცხეთა -27,0%, სამცხე-ჯავახეთი - 27,0%, გურია - 25,0%, თბილისი - 22,8% და სხვა.

თავი IV. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკა

ნაწილი 11 - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტი

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან სქესობრივ ჭრილში

2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით, პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 9 436 პირი. მათგან, 9 174 კაცი და 262 ქალია.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში - „სამინისტრო“) ანალიტიკური დეპარტამენტის სტატისტიკის, კვლევისა და ანალიზის სამმართველოში ყოველთვიურად ხდება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პროცენტული შედარება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრის მონაცემებით დაფიქსირებულ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან. ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობასთან პენიტენციური დეპარტამენტის მიმდინარე წლის ნოემბრის მონაცემების შედარების შედეგად ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რიცხვმა (9 436) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (3 720 400) 0.25% შეადგინა. მამრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (9 174) ქვეყნის მამრობითი სქესის მოსახლეობის (1 779 500) 0.52%-ს, ხოლო მდედრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (262) ქვეყნის მდედრობითი სქესის მოსახლეობის (1 940 900) 0.01%-ს შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი №22).

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში

2016 წლის ნოემბრის თვეში, სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სრულწლოვან კაცებზე მოდიოდა (9 157). ქვემოთ მოცემულია ყველა დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ამსახველი დიაგრამები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში, სადაც უფრო დეტალურად არის ნაჩვენები სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული წილის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №23, №24, №25):



როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, 25-45 წლამდე ასაკის ბრალდებულები და მსჯავრდებულები საერთო რაოდენობის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებლებით ხასიათდებიან.

ბრალდებულები და მსჯავრდებულები
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი კატეგორიები

2016 წლის ნოემბრის თვეში, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში განთავსებული იყო სულ 9 436 ბრალდებული და მსჯავრდებული. მათი კლასიფიცირება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შემდეგ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №27):


ბრალდებულთა
ასაკობრივი კატეგორიები
70.0%
60.0%
50.0%
40.0%
30.0%
20.0%
10.0%
0.0%
0.0%
0.4%
4.5%
11.3%
63.2%
16.4%
1.9%
2.1%
0.3%
14-16 წელი - 0
16-18 წელი - 4
18-21 წელი - 49
21-25 წელი - 124
25-45 წელი - 691
45-60 წელი - 179
60-65 წელი - 21
65-70 წელი - 23
70 წლის ზემოთ - 3


მსჯავრდებულთა
ასაკობრივი კატეგორიები
70.00%
60.00%
50.00%
40.00%
30.00%
20.00%
10.00%
0.00%
0.02%
0.14%
3.24%
11.04%
65.75%
17.31%
1.35%
0.77%
0.37%
14-16 წელი - 2
16-18 წელი - 12
18-21 წელი - 270
21-25 წელი - 921
25-45 წელი - 5 485
45-60 წელი - 1 444
60-65 წელი - 113
65-70 წელი - 64
70 წლის ზემოთ - 31



ბრალდებულები და მსჯავრდებულები პენიტენციურ დაწესებულებებში

2016 წლის ნოემბრის თვეში, 9 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 1 094 ბრალდებული ირიცხებოდა. საერთო შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 11.6%-ს ბრალდებულები შეადგენდნენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი ბრალდებული 2016 წლის ნოემბრის თვეში №8 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

2016 წლის ნოემბრის თვეში, 15 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 8 342 მსჯავრდებული ირიცხებოდა. საერთო შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 88.4%-ს მსჯავრდებულები შეადგენდნენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი მსჯავრდებული 2016 წლის ნოემბრის თვეში №17 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

11.2 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2016 წლის ნოემბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (18) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.2%-ს უტოლდება. არასრულწლოვანთა შორის 4 ბრალდებულია. არასრულწლოვანი ბრალდებულების რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 0.4%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 22.2%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულია დაწესებულებებში მათი განაწილების ამსახველი სურათი (იხ. დანართი, ცხრილი №26):



არასრულწლოვანთა შორის 14 მსჯავრდებულია, ყველა მამრობითი სქესის. არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რიცხვი, მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.2%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 77.8%-ს შეადგენს. მათი საერთო რაოდენობის პენიტენციურ დაწესებულებებში განაწილების მაჩვენებელი შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №26):



11.3 საპატიმრო ადგილების ლიმიტები

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანებით დადგენილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობრივი ლიმიტი თითოეული დაწესებულებისთვის. დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რეალური რაოდენობის შედარება ლიმიტირებულ რაოდენობასთან ხდება თითოეულ დაწესებულებასთან მიმართებაში.

პენიტენციურ სისტემას დაქვემდებარებულ 15 დაწესებულებაში არსებული საპატიმრო ადგილების საერთო ლიმიტირებული რაოდენობა 12 681-ს შეადგენს. 2016 წლის ნოემბრის მონაცემებით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (9 436) ამ ზღვარზე 3 245 ერთეულით (25.6%) ნაკლებია. ამ მხრივ სხვადასხვა დაწესებულებებში განსხვავებული მდგომარეობაა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში, დადგენილ ლიმიტებთან შედარებით, მეტობის მაჩვენებელი №2 და №15 დაწესებულებებში ფიგურირებს. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე აღნიშნულია დაწესებულებების ჩამონათვალი ლიმიტებით, სადაც პროცენტული მაჩვენებლის ქვემოთ ფრჩხილებში მოცემულია შესაბამისი ციფრი. ამდენად, თითოეულ დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ამჟამინდელი რაოდენობის დადგენილ ლიმიტზე ნაკლებობა/მეტობა გრაფიკზე გამოსახულია როგორც რაოდენობრივი, ასევე პროცენტული მაჩვენებლის სახით (იხ. დანართი, ცხრილი №29):

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა

დადგენილ ლიმიტებთან შედარებით ნაკლებობის/მეტობის მაჩვენებლებით



როგორც მოცემული გრაფიკიდან ჩანს, 2016 წლის ნოემბერში №2 და №15 დაწესებულებებში განთავსებული იყო ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით ჭარბი რაოდენობა. ხოლო, დადგენილთან შედარებით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა პროცენტულად ყველაზე ნაკლები რაოდენობა №17 დაწესებულებაში დაფიქსირდა.

11.4 მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

2016 წლის ნოემბრის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები, ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 88.4%-ს შეადგენდა. მათგან, უმეტესობას მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები წარმოადგენდნენ. ასევე, დიდი ხვედრითი წილით განისაზღვრებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების რაოდენობაც. რაც შეეხება მსჯავრდებულთა გადანაწილებას დანაშაულის სახეობის მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა ეკონომიკური (4 357) და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ ჩადენილი (3 285) დანაშაულისათვის იხდის სასჯელს. ასევე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება ადამიანის წინააღმდეგ (2 077) ჩადენილი დანაშაული (იხ. დანართი, ცხრილი №30, №31):


მსჯავრდებულები
დანაშაულის კატეგორიის მიხედვით
ნაკლებად მძიმე 8.9% (742)
მძიმე 49.4% (4 119)
განსაკუთრებით მძიმე 41.7% (3 481)


მსჯავრდებულები
დანაშაულის კატეგორიის მიხედვით დაწესებულებებში
1200
1000
800
600
400
200
0
№2 დაწესებულება
№3 დაწესებულება
№5 დაწესებულება
№6 დაწესებულება
№7 დაწესებულება
№8 დაწესებულება
№9 დაწესებულება
№11 დაწესებულება
№12 დაწესებულება
№14 დაწესებულება
№15 დაწესებულება
№16 დაწესებულება
№17 დაწესებულება
№18 დაწესებულება
№19 დაწესებულება
ნაკლებად მძიმე - 742
მძიმე - 4 119
განსაკუთრებით მძიმე - 3 481



11.5 მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით

2016 წლის ნოემბრის თვეში, მსჯავრდებულთა რიცხვი, რომელთაც დაწესებულების ტიპი განესაზღვრათ 8 159-ს, ხოლო დაწესებულების განსაზღვრის მოლოდინში მყოფ მსჯავრდებულთა რაოდენობა 183-ს შეადგენდა. მათი რაოდენობა შეფარდებული დაწესებულების ტიპის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №32):



11.6 უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2016 წლის ნოემბრის თვეში, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში განთავსებულნი იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები 34 ქვეყნიდან და მოქალაქეობის არმქონე პირები. მიმდინარე წლის ნოემბრის დასასრულს, მათი რიცხვი 343-ს (ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 3.6%) შეადგენდა. მათ შორის: №2 დაწესებულებაში 2 (რუსეთი-საქართველო, ისრაელი-საქართველო), №5 დაწესებულებაში 4 (თურქეთი-სომხეთი, თურქეთი-საქართველო, თურქეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №8 დაწესებულებაში 6 (ირანი-საქართველო, ირანი-საქართველო, ირანი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, უკრაინა-საქართველო, თურქეთი-ნიდერლანდები), №14 დაწესებულებაში 2 (რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №17 დაწესებულებაში 2 (რუსეთი-საქართველო, ირანი-საქართველო), №19 დაწესებულებაში 1 (სომხეთი-საქართველო) ორმაგი მოქალაქეობის მქონე ბრალდებული/მსჯავრდებული იმყოფებოდა.

ქვემოთ მოცემულია პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ უცხოელ და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის ამსახველი დიაგრამები მოქალაქეობის სახელმწიფოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №33, №34):



როგორც ამ დიაგრამიდან ჩანს, უცხოელთაგან უდიდესი ნაწილი თურქეთზე, აზერბაიჯანზე, რუსეთსა და სომხეთზე მოდის. დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან ქვეყნები, რომლებიც დიაგრამაზე გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (გერმანია - 1, ეთიოპია - 1, ეკვადორი - 1, კოლუმბია - 1, ლიბანი - 1, მექსიკა - 1, მოლდავეთი - 1, საფრანგეთი - 1, სირია - 1, ტაჯიკეთი - 1).


უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე
ბრალდებულები და მსჯავრდებულები
70
60
50
40
30
20
10
0
62
38
33
30
21
16
14
13
12
11
9
7
5
4
3
2
1
0
აზერბაიჯანი - 52
ბულგარეთი - 4
ბრაზილია - 5
განა - 3
ეგვიპტე - 2
ერაყი - 5
თურქეთი - 95
ისრაელი - 5
ინდოეთი - 2
ირანი - 20
კონგო - 3
კოტ-დ'ივუარი - 4
ნიგერია - 19
პაკისტანი - 2
პალესტინა - 2
რუსეთი - 41
საბერძნეთი - 3
საქართველო - 5
სომხეთი - 33
უზბეკეთი - 4
უკრაინა - 12
ყირგიზეთი - 3
შრილანკა - 2
ჰოლანდია - 2
მოქალაქეობის არმქონე - 5
სხვა - 10
ბრალდებულები - 95
მსჯავრდებულები - 248

უცხოელი ბრალდებულები და მსჯავრდებულები
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



11.7 პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა

2016 წლის ნოემბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში სულ 846 პირის გადაადგილება დაფიქსირდა. მათგან, საერთო პროფილის საავადმყოფოებში - 348, ხოლო სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში გადაყვანილ პირთა რაოდენობამ სულ 498 შეადგინა (იხ. დანართი, ცხრილი №35):

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა გადაყვანა



11.8 პენიტენციური სისტემიდან გასვლა

2016 წლის ნოემბრის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რაოდენობამ წინა თვესთან შედარებით 429 ერთეულით დაიკლო. ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდისთვის პენიტენციური სისტემიდან სხვადასხვა საფუძვლით გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (იხ. დანართი, ცხრილი №36):



როგორც ვხედავთ, პენიტენციური სისტემიდან გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უდიდესი წილი კალენდარულად (145), პირობით ვადამდე (52) და პირობითი მსჯავრით (33) გათავისუფლებულ მსჯავრდებულებზე მოდის. ხოლო, დაბალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო - 4, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა (3), გარდაცვალება - (2) და შეწყალება (1). გარდა ამისა, სხვა სახით გათავისუფლებულთა (გირაო, საქმის შეწყვეტა, ექსტრადიცია და სხვა) საერთო რაოდენობა (189) მთლიანი რაოდენობის 44.1%-ს შეადგენდა.

11.9 პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა დეტალური მონაცემები მოცემულია შემდეგ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №36, №37):

ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლებული მსჯავრდებულები



11.10 რესოციალიზაციის მიმდინარეობა

რესოციალიზაციის მიმდინარეობის მაჩვენებელი თითოეული დაწესებულებისთვის პროგრამებისა და ღონისძიებათა ტიპების მიხედვით ითვლება. ამ მიზნით ხდება თითოეულ პროგრამაში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის აღრიცხვა და მათი დაყოფა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებად.

2016 წლის ნოემბრის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში რესოციალიზაციის პროგრამები სულ 1 346 პირისთვის მოქმედებდა. აღნიშნულ პროგრამებში, ყველაზე დიდი ადგილი, ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მიხედვით შრომას (454) ეკავა.

ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის პროგრამასა და ღონისძიებაში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში და დაწესებულებების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №38, №39, №40):

რესოციალიზაციის პროგრამებში/ღონისძიებებში ჩართული ბრალდებულები და მსჯავრდებულები (საერთო)



რესოციალიზაციის პროგრამებში/ღონისძიებებში ჩართული პირები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში (საერთო)





2016 წლის ნოემბრის თვეში, არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელდა/მიმდინარეობდა რესოციალიზაციის 229 პროგრამა/ღონისძიება. ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის პროგრამასა და ღონისძიებაში ჩართული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება:



საანგარიშო პერიოდში, 18 მამრობითი სქესის არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული რესოციალიზაციის 229 სხვადასხვა პროგრამასა და ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას.

ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია რესოციალიზაციის მიმდინარე, დასრულებული, სერთიფიცირებული და დიპლომირებული პროგრამები/ღონისძიებები:



11.11 სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება

2016 წლის ნოემბრის თვეში, პენიტენციური დაწესებულებების სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული იყო 454 პირი. ქვემოთ დიაგრამებზე ნაჩვენებია მათი რაოდენობა სქესობრივი ჭრილისა და შრომის ანაზღაურების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №41):


დაწესებულებებში
დასაქმებული მსჯავრდებულები
№19 დაწესებულება
№18 დაწესებულება
№17 დაწესებულება
№16 დაწესებულება
№15 დაწესებულება
№14 დაწესებულება
№12 დაწესებულება
№11 დაწესებულება
№9 დაწესებულება
№8 დაწესებულება
№7 დაწესებულება
№6 დაწესებულება
№5 დაწესებულება
№3 დაწესებულება
№2 დაწესებულება
4200.00
21
0.00
0
16759.00
90
0.00
0
12328.00
64
9294.00
50
3875.00
19
0.00
0
800.00
9
18808.00
94
800.00
4
4789.00
24
3971.00
20
1038.00
6
10401.00
53
0
2000
4000
6000
8000
10000
12000
14000
16000
18000
20000
ანაზღაურება - 87 063.00 ლარი
დასაქმებულთა რაოდენობა - 454


დასაქმებული მსჯავრდებულები
სქესობრივ ჭრილში
სრულწლოვანი ქალი
4.4% (20)
სრულწლოვანი კაცი
95.6% (434)

11.12 დისციპლინური სახდელები

2016 წლის ნოემბრის თვეში, დისციპლინური სახდელები პენიტენციურ დაწესებულებებში 499-ჯერ იქნა გამოყენებული.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დისციპლინური სახდელები სახეებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №42):





11.13 წახალისების ფორმები

2016 წლის ნოემბრის თვეში, მსჯავრდებულთა წახალისება 135-ჯერ განხორციელდა. მათი გადანაწილება წახალისების ფორმებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №43):

წახალისების ფორმები





11.14 პაემნის ღონისძიებები

2016 წლის ნოემბრის თვეში, ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა პაემნის უფლებით სულ 3 768-ჯერ ისარგებლეს. განხორციელებული პაემნები სახეობებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №44):





11.15 წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2016 წლის ნოემბრის თვეში, წარსულში ნასამართლევ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა (4 031) სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №45):

წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები დაწესებულებებში



11.16 დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2016 წლის ნოემბრის თვეში, დაოჯახებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა (4 671) სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №46):





11.17 შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №36, №47):





11.18 ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან არცერთი ბრალდებული/მსჯავრდებული არ გათავისუფლებულა (იხ. დანართი, ცხრილი №36, №48).

11.19 პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები

დანაშაულებრივი ფაქტების ჩადენის მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში გამოითვლება თითოეული დაწესებულებისთვის საქართველოს სსკ მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიხედვით, რაც დაწესებულებებში კრიმინოგენული ვითარების ცალ-ცალკე ჩვენების გარდა საერთო ვითარების ასახვის საშუალებასაც იძლევა. გარდა ამისა, კრიმინოგენული სიტუაციის აღმრიცხავი მონაცემთა ცხრილები დანაშაულებრივი ფაქტებისა და მათ ჩამდენ პირთა ასაკის ურთიერთმიმართებასაც აჩვენებს.

სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2016 წლის ნოემბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების რაოდენობამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 9 მუხლით გათვალისწინებული 29 ერთეული ქმედება შეადგინა. მათგან, ყველაზე მეტი ხვედრითი წილი საქართველოს სსკ 125-ე (ცემა) და სსკ 115-ე (თვითმკვლელობამდე მიყვანა) მუხლებით ჩადენილ ქმედებებზე მოდის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდში გამოძიების დაწყების საფუძვლად ქცეული დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა და მათი ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №49, №50):



ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები

დაწესებულებებსა და დაწესებულებების გარეთ, პირთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

2016 წლის ნოემბრის თვეში, გამოძიება 8 სხვადასხვა დაწესებულებაში და დაწესებულების გარეთ მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებზე დაიწყო. შემდეგი გრაფიკი ადგილმდებარეობის მიხედვით ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების პროცენტულ მაჩვენებელს ასახავს:

ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები
დაწესებულებებში და დაწესებულების გარეთ



საანგარიშო პერიოდში, გამოძიება ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე სულ 27 პირის მიმართ[1] წარიმართა. გამოძიების ობიექტს - ქმედების ჩამდენ პირთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას 25-45 წლამდე ასაკის პირები შეადგენდნენ. ქვემოთ ნაჩვენებ დიაგრამაზე ასახულია 2016 წლის ნოემბრის თვეში ჩადენილი ქმედებებისა და ჩამდენ პირთა ასაკობრივი კატეგორიების ურთიერთმიმართება:

[1] საქართველოს სსკ 177-ე მუხლით 1 საქმეზე და სსკ 378[1]-ე მუხლით 1 საქმეზე არ არის გამოკვეთილი დანაშაულის ჩამდენი პირი, გამოძიება დაწყებულია ფაქტებზე.

პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც დაწყებულია გამოძიება



11.20 ავადობა პენიტენციურ სისტემაში[2]

ავადობა (პრევალენტობა)

2016 წლის ნოემბრის თვეში, სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მონაცემებით, ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების შედეგად გამოვლენილი სხვადასხვა სახეობის დაავადებათა საერთო რაოდენობა 13 398-ს გაუტოლდა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია დაავადებულთა ხვედრითი წილი კონკრეტული დაავადების მიხედვით. სამედიცინო მდგომარეობის ამსახველი მონაცემთა ცხრილები ასევე იძლევა დაავადებების სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში გავრცელების რაოდენობრივი მასშტაბის დადგენის საშუალებას.

პენიტენციურ სისტემაში გავრცელებული დაავადებებიდან ყველაზე დიდი წილი ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და დაკავშირებულია სამედიცინო მომსახურებასთან (2 801) მოდის. ხოლო, ყველაზე დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილი დაავადებები გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობები (70), უპირატესად სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (45), ავადობისა და სიკვდილიანობის გარე მიზეზები (40), სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებები და იმუნური მექანიზმების მიმდინარე ზოგიერთი დარღვევები (19), სიმსივნეები (17), ნაწლავური ინფექციები (11), სხვა ვირუსული დაავადებები (8), ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა (2), თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები (2)) (იხ. დანართი, ცხრილი №51):

[2] დაავადებათა შესაბამისი კოდები (ICD10) იხილეთ ანგარიშის დანართში.

ავადობა პენიტენციურ სისტემაში



დაავადებული პირების კატეგორიაში ყველაზე მეტი მაჩვენებლით სრულწლოვანი კაცები (11 755) ხასიათდებიან. დაავადებები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქვემოთ დიაგრამაზეა წარმოდგენილი (იხ. დანართი, ცხრილი №52):



შემდეგი დიაგრამა განსაზღვრავს ქალებისა და კაცების ასაკობრივი კატეგორიების ხვედრით წილს დაავადებულთა საერთო რაოდენობაში:



მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში, დაავადებათა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კაცებსა და ქალებში 25-45 წლამდე ასაკობრივ კატეგორიებში გამოვლინდა.

არასრულწლოვნებში დაავადებების რაოდენობა დაავადებათა მთლიანი რაოდენობის 0.8%-ს შეადგენს. დიაგრამაზე აღნიშნულია დაავადებათა მაჩვენებელი არასრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში დაავადებათა კატეგორიის მიხედვით:

დაავადებები არასრულწლოვან კაცებში/ქალებში



შემდეგი ორი დიაგრამა აჩვენებს დაავადებათა კატეგორიების გავრცელების მასშტაბს ცალ-ცალკე მამრობითი და მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ (იხ. დანართი, ცხრილი №52):

დაავადებები სრულწლოვან კაცებში



დიაგრამაზე ყველაზე დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილი დაავადებები გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები (97), ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები (75), ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობები (67), ავადობის და სიკვდილობის გარე მიზეზები (40), უპირატესად სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (17), სიმსივნეები (15), ნაწლავური ინფექციები (11), სხვა ვირუსული დაავადებები (8), სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებები და იმუნური მექანიზმის მიმდინარე ზოგიერთი დარღვევები (6), თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები (1)).



დიაგრამაზე ყველაზე დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილი დაავადებები გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობები (3), სიმსივნეები (2), ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა (2), თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები (1)).

როგორც დიაგრამებიდან ჩანს, მამრობითი და მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში სჭარბობს ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და დაკავშირებულია სამედიცინო მომსახურებასთან.

სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა

პენიტენციურ დაწესებულებებში მკურნალობასთან დაკავშირებული მონაცემები ამ ეტაპზე წლიურ ფორმაში ყოველთვიურად გაწეული პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების მიხედვით ითვლება.

ქვემოთ ნაჩვენები დიაგრამა პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთათვის 2016 წლის ნოემბრის თვეში სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფას პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების ტიპების მიხედვით წარმოგვიდგენს (იხ. დანართი, ცხრილი №53):



საანგარიშო პერიოდში, თვითდაზიანების მაჩვენებელი 140 დაფიქსირდა, მათგან ერთი შშმპ[3] იყო.

11.21 გარდაცვალება

2016 წლის ნოემბრის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულის/მსჯავრდებულის სუიციდით გარდაცვალების 2 ფაქტი დაფიქსირდა (იხ. დანართი, ცხრილი №54, №55).

ნაწილი 12 - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო

12.1 პირობით მსჯავრდებულები

პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები რეგიონულად როგორც სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში, ასევე შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ითვლება. 2016 წლის ნოემბრის თვის მონაცემებით, საქართველოში სულ 21 333 პირობით მსჯავრდებული დაფიქსირდა. რეგიონებს შორის მაღალი მაჩვენებლით თბილისი გამოირჩევა, რომელსაც ასევე მაღალი მაჩვენებლით იმერეთის, სამეგრელო ზემო-სვანეთის, ქვემო ქართლისა და აჭარის რეგიონი მოსდევს. პირობით მსჯავრდებულთა ყველაზე მცირე რაოდენობა კი რაჭა-ლეჩხუმსა და ქ/სვანეთის რეგიონშია დაფიქსირებული (იხ. დანართი, ცხრილი №56):



[3] შშმპ-ში შედიან ფუნქციონალური შეზღუდვის მქონე პაციენტები, მიუხედავად იმისა დადგენილი აქვთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი.

შეფარდებული ღონისძიების მიხედვით, ქვეყანაში პირობით მსჯავრდებულთა ყველაზე მეტი რაოდენობა პირობით მსჯავრზე (17 882) მოდის, ხოლო ყველაზე მცირე მაჩვენებლით ხასიათდება სასჯელის მოხდის გადავადება (9).



მთელი ქვეყნის მასშტაბით, პირობით მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში უმეტესობა სრულწლოვანი კაცებით არის წარმოდგენილი, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №57, №58):



12.2 პირობით მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობას დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგი დიაგრამები ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №59):





12.3 არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

2016 წლის ნოემბრის თვის მონაცემებით, არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები (121) პირობით მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.6%-ს შეადგენდნენ. არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულების 2.5% (3) ქალია. მათი საერთო რაოდენობის კლასიფიცირება დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს (იხ. დანართი, ცხრილი №59):





12.4 უცხოელი პირობით მსჯავრდებულები

2016 წლის ნოემბრის თვეში, საქართველოში 16 სხვადასხვა მოქალაქეობის 121 უცხოელი პირობით მსჯავრდებული დაფიქსირდა, რაც პირობით მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობის 0.6%-ია. მოქალაქეობის მიხედვით მათი განაწილების მაჩვენებელი ქვემოთ დიაგრამაზეა მოცემული (იხ.დანართი, ცხრილი №60, №61):





12.5 პირობით მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით

არასაპატიმრო სასჯელის შეფარდება ხდება როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის სახით. არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების რაოდენობა (3 947) პირობით მსჯავრდებულთა საერთო რიცხვის 18.5%-ს შეადგენს. არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების 3.2% (125) ქალია. მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში, ამ სახის პირობით მსჯავრდებულებს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლებაჩამორთმეული და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომადანიშნული პირები წარმოადგენდნენ. საანგარიშო პერიოდში, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (ძირითადი/დამატებითი სასჯელი) სულ 3 297 (არასაპატიმრო სასჯელის საერთო რაოდენობის 83.5%), საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა (ძირითადი/დამატებითი სასჯელი) სულ 650 (არასაპატიმრო სასჯელის საერთო რაოდენობის 16.5%) პირს ჰქონდა შეფარდებული, ხოლო გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №62):





საანგარიშო პერიოდში, პრობაციის ღონისძიებაშეფარდებულ პირთა რაოდენობა სულ 21 023-ს აღწევს. მათი ხვედრითი წილი შეფარდებული პრობაციის ღონისძიების მიხედვით ამგვარია (იხ. დანართი, ცხრილი №56):

პრობაციის ღონისძიების შეფარდება



12.6 პირობით მსჯავრდებულთა მატება

2016 წლის ნოემბრის თვეში, სასამართლო გადაწყვეტილება არასაპატიმრო სასჯელისა და პრობაციის ღონისძიების შეფარდების შესახებ სულ 975 პირის მიმართ იქნა გამოტანილი.

შემდეგ დიაგრამაზე ასახულია ზემოთ აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა როგორც რეგიონულად, ასევე შეფარდებული ღონისძიების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №63):


პირობით მსჯავრდებულთა მატება
რეგიონულ ჭრილში
50.0%
45.0%
40.0%
35.0%
30.0%
25.0%
20.0%
15.0%
10.0%
5.0%
0.0%
42.9%
4.3%
2.2%
8.2%
7.2%
1.8%
11.4%
2.6%
8.5%
0.6%
10.4%
თბილისი - 418
შიდა ქართლი - 42
მცხეთა-მთიანეთი - 21
ქვემო ქართლი - 80
კახეთი - 70
სამცხე-ჯავახეთი - 18
იმერეთი - 111
გურია - 25
სამეგრ.-ზ/სვანეთი - 83
რაჭა-ლეჩხ. და ქ/სვანეთი - 6
აჭარა - 101


პირობით მსჯავრდებულთა მატება
შეფარდებული ღონისძიების მიხედვით
თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 0.5% (5)
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა 11.7% (114)
თ.ა.შ. საპრობაციო ვადის დანიშვნა 23.8% (232)
გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა 0.0% (0)
სასჯელის მოხდის გადავადება 0.0% (0)
სასჯელის მოხდისაგან პვგ 1.6% (16)
პირობითი მსჯავრი 62.4% (608)

ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია 2016 წლის ნოემბრის თვის განმავლობაში პირობით მსჯავრდებულთა მატების მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №64):



12.7 დასრულებული საქმეები

2016 წლის ნოემბრის თვეში, დასრულებული საქმეთა რაოდენობა უცხოელთა (5) და საქართველოს მოქალაქეთა მიმართ (837) საფუძვლისა და რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №65, №67, №68):




დასრულებული საქმეები უცხოელთა მიმართ
საფუძვლის მიხედვით
თანამდ. დაკავებ./საქმ. უფლ. ჩამორთმევა 0.0% (0)
მსჯავრდებულის გარდაცვალება 0.0% (0)
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 0.0% (0)
აღსასრულებელი სამართლებრივი აქტის გაუქმება 0.0% (0)
გამასწორებელი სამუშაო 0.0% (0)
სასჯელის მოხდის გადავადება 0.0% (0)
პირობით ვადამდე გათავისუფლება 0.0% (0)
პირობითი მსჯავრი 100.0% (5)


დასრულებული საქმეები რეგიონულ ჭრილში
საქართველოს მოქალაქეთა და უცხოელთა მიმართ (საერთო)
45.0%
40.0%
35.0%
30.0%
25.0%
20.0%
15.0%
10.0%
5.0%
0.0%
39.3%
3.7%
2.4%
8.6%
7.4%
2.0%
14.3%
3.2%
9.7%
0.6%
8.9%
თბილისი - 331
შიდა ქართლი - 31
მცხეთა-მთიანეთი - 20
ქვემო ქართლი - 72
კახეთი - 62
სამცხე-ჯავახეთი - 17
იმერეთი - 120
გურია - 27
სამეგრელო-ზ/სვანეთი - 82
რაჭა-ლეჩხუმი და ქ/სვანეთი - 5
აჭარა - 75

როგორც დიაგრამიდან ჩანს, დასრულებული საქმეების რაოდენობის მხრივ თბილისის რეგიონის შემდეგ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა იმერეთი, სამეგრელო-ზ/სვანეთი და აჭარა. ხოლო, რაოდენობრივად ბოლო ადგილზე რაჭა-ლეჩხუმისა და ქ/სვანეთის რეგიონია.

დასრულებული საქმეების რაოდენობა პირობით მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №66, №67, №68):

დასრულებული საქმეები (საერთო)
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



დასრულებული საქმეები საქართველოს მოქალაქეთა მიმართ
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



12.8 პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის 2016 წლის ნოემბრის თვის სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №69):





12.9 პირობით მსჯავრდებულთა შეწყალება

2016 წლის ნოემბრის თვეში, პირობით მსჯავრდებულთა შეწყალების ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №70).

12.10 პირობით მსჯავრდებულთა ამნისტია

2016 წლის ნოემბრის თვეში, პირობით მსჯავრდებულთა ამნისტიის ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №71).

12.11 საქმეების საშუალო რაოდენობა[4] ერთ ოფიცერზე

2016 წლის ნოემბრის თვის მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში 21 333 პირობით მსჯავრდებულის საქმე 171 პრობაციის ოფიცერზე ნაწილდება. საქმეების საშუალო რაოდენობით ერთ ოფიცერზე რეგიონებში თბილისი (143), სამეგრელო-ზ/სვანეთი (143) და გურია (137) ლიდერობს, ხოლო ყველაზე მცირე საშუალო მაჩვენებელი რაჭა-ლეჩუმსა და ქ/სვანეთში (20) დაფიქსირდა. მთლიანი ქვეყნის მასშტაბით, საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში 125 იყო. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე, საქმეების საშუალო რაოდენობის რეგიონული მაჩვენებელია ასახული (იხ. დანართი, ცხრილი №72):



[4] საქმეების საშუალო რაოდენობა თითოეულ პრობაციის ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში გამოითვლება საანგარიშო პერიოდისთვის მოცემულ რეგიონში დაფიქსირებული პრობაციონერთა რაოდენობის გაყოფით ამავე რეგიონში მოქმედ პრობაციის ოფიცრების რაოდენობაზე. მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ ოფიცერზე საქმეების საშუალო რაოდენობის გამოთვლისას პრობაციონერთა საერთო რაოდენობა იყოფა საქართველოში მოქმედ ყველა პრობაციის ოფიცრის რაოდენობის აღმნიშვნელ რიცხვზე. პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა როგორც რეგიონულ ჭრილში, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით ასახულია დანართის №56 ცხრილში სახელწოდებით „პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა შეფარდებული ღონისძიების მიხედვით რეგიონულ ჭრილში“.

12.12 პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია

2016 წლის ნოემბრის თვეში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით თბილისის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზ/სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქ/სვანეთისა და აჭარის რეგიონებში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, სპორტული ღონისძიებების, საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობის, სარეაბილიტაციო და სამკურნალო პროგრამების, განრიდებულთა შეფასებისა და დასაქმების ღონისძიებები სულ 548 პირობით მსჯავრდებულისთვის მოქმედებდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის 2016 წლის ნოემბრის თვის სტატისტიკა პროგრამების, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №73, №74):




პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში
არასრულწლოვანი კაცი 18.2% (100)
არასრულწლოვანი ქალი 1.6% (9)
სრულწლოვანი ქალი 5.3% (29)
სრულწლოვანი კაცი 74.8% (410)


პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია
რეგიონულ ჭრილში
20.0%
18.0%
16.0%
14.0%
12.0%
10.0%
8.0%
6.0%
4.0%
2.0%
0.0%
17.5%
6.8%
6.8%
15.3%
10.0%
2.6%
15.3%
7.8%
3.3%
0.9%
13.7%
თბილისი - 96
შიდა ქართლი - 37
მცხეთა-მთიანეთი - 37
ქვემო ქართლი - 84
კახეთი - 55
სამცხე-ჯავახეთი - 14
იმერეთი - 84
გურია - 43
სამეგრელო-ზ/სვანეთი - 18
რაჭა-ლეჩხუმი და ქ/სვანეთი - 5
აჭარა - 75

12.13 პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია პირობით მსჯავრდებულთა დასაქმების 2016 წლის ნოემბრის თვის სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №75):





12.14 თავისუფლების შეზღუდვა

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია მსჯავრდებულთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსების 2016 წლის ნოემბრის თვის სტატისტიკა დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის, ასევე პროგრამებში ჩართულობის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №76):







ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია დასრულებულ საქმეთა სტატისტიკა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №77):





ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია შემოსულ საქმეთა სტატისტიკა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №78):




თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში
შემოსულ საქმეთა რაოდენობა
დანაშაულის სახეობის მიხედვით
1.2
1
0.8
0.6
0.4
0.2
0
1
1
1
0
0
0
0
0
0
0
0
0
0
0
0
0
ადამიანის წინააღმდეგ
ეკონომიკური
საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ
ეკოლოგიური
სახელმწიფოს წინააღმდეგ
სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ
სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ
კაცობრიობის წინააღმდეგ
ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება - 3
სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი - 0